საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-207

2024 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის №2-796 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის №2-796 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში (სსმ, ვებგვერდი, 01/06/2021, 040030000.22.023.016675) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზებას და ზედამხედველობას.“.

2. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარისის „ე^{1}“ და „ე^{2}“ ქვეპუნქტები:

„ე^{1}) სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან (მათ შორის, საქმიანი ეზოების მოწყობა) დაკავშირებული პროცესების ორგანიზება და ზედამხედველობა;

ე^{2}) დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გადმოცემასთან დაკავშირებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების უზრუნველყოფა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**